საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №54

ქ. ბათუმი 29 ივნისი, 2017 წ.

ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტ. პროფ. ვახტანგ ბერიძისა და პროფ. დავით დევაძის ნაშრომის „მოდელირება და სიმულაციები (Mathcad)“ სახელმძღვანელოდ აღიარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 08 მაისის N46 დადგენილების, დეკანის, ასოც. პროფ. გულად ფარტენაძის სამსახურეობრივი ბარათების (MES 4 17 00305540, 30.03.2017 და MES 2 17 00390850, 24.04.2017) და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№8, 14.03.2017) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აღიარებული იქნეს სახელმძღვანელოდ ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ვახტანგ ბერიძისა და პროფესორ დავით დევაძის მიერ მომზადებული ნაშრომი **„მოდელირება და სიმულაციები (Mathcad)“.**
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს გამომცემლობასა და ნაშრომის ავტორებს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**